



# თითის ანაბეჭდები და „ევროდაკი“

©iStockphoto / jamp013

ინფორმაცია, რომელიც განეკუთვნება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც დაკავებულ იქნენ საზღვრის უკანონო გადმოკვეთის გამო ევროკავშირის N. 603/2013 რეგლამენტის 29 მუხლის 3 ნაწილით

თუ თქვენი ასაკია 14 წელი და მეტი და დაკავებული ხართ საზღვრის უკანონო კვეთის გამო, თქვენგან აღებული იქნება თითის ანაბეჭდები, რომელიც შემდგომში გადაეცემა თითის ანაბეჭდების მონაცემთა ბაზას ევროდაკს. უნდა დათანხმდეთ ამ პროცედურის შერულებას, თითის ანაბეჭდების აღებას გავალდებულებთ სამართლებრივი აქტი.

თუ თქვენი თითის ანაბეჭდი იქნება უხარისხო და იმ შემთხვევაში, თუ განზრახ დაიზიანეთ თითი, მაშინ შესაძლებელია ანაბეჭდები მომავალში განმეორებით იქნას აღებული.

თუ მომავალში კვლავ მოითხოვთ თავშესაფარს, თითის ანაბეჭდებს ისევ აიღებენ თქვენგან. თუ ითხოვთ თავშესაფარს სხვა ქვეყანაში, არა იმაში, რომელშიც ადრე იყო აღებული თქვენი თითის ანაბეჭდები, მაშინ შესაძლებელია გადაქცენ იმ ქვეყანას, რომელშიც ადრე თქვენი თითის ანაბეჭდები აიღეს.

თითის ანაბეჭდები იქნება შენახული 18 თვე. 18 თვის შემდეგ ის ავტომატურად წაიშლება მონაცემთა ბაზიდან. „ევროდაკ“-ში შენახული იქნება მხოლოდ თქვენი თითის ანაბეჭდები და ინფორმაცია სქესის შესახებ. თქვენი სახელი და გვარი, ფოტოსურათი, აბადების თარიღი და მოქალაქეობა მონაცემთა ბაზას არ გადაეცემა და იქ არ ინახება.

მომავალში, ნებისმიერ დროს, ქვეყანას, რომელშიც აგიღეს თითის ანაბეჭდები, შეგიძლიათ მოთხოვოთ მონაცემები, რომელიც თქვენთანაა კავშირში და რომელიც ჩაწერილია „ევროდაკ“-ში. შესაძლებლობა გაქვთ მოითხოვოთ მისი შესწორება ან წაშლა. მონაცემები უნდა წაიშალოს იმ შემთხვევაში, თუ მაგალითა: გახდით ევროკავშირის ან ასოცირებული ქვეყნის მოქალაქე, ან თუ მიიღეთ რომელიმე ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება და არ ითხოვთ თავშესაფარს.

„ევროდაკს“ მართავს და აწესრიგებს ევროკავშირის სააგენტო, რომელსა ეწოდება „eu-LISA“. თქვენი მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივ აქტებში გათვალისწინებული მიზნებისთვის. თქვენს მონაცემებს მიიღებს მხოლოდ „ევროდაკ“-ს ცენტრალური სისტემა. თუ მომავალში თქვენ მოითხოვთ თავშესაფარს ევროკავშირის სახელმწიფოში ან ასოცირებულ ქვეყანაში, თქვენი თითის ანაბეჭდები გადაგზავნილი იქნება შესამოწმებლად<sup>1)</sup>. „ევროდაკ“-ში დაცული მონაცემები არ იქნება მიწოდებული არც ერთი სისტემისთვის, რომელიც

1) იმ შემთხვევაში, თუ ამის უფლებას იძლევა სამართლებრივი აქტები, თქვენს თითის ანაბეჭდებზე მონაცემები შესაძლებელია გადაეცეს ევროკავშირის 28 ქვეყანას და ასოცირებულ 4 სახელმწიფოს - ნორვეგიას, ისლანდიას, შვეიცარიას და ლიხტენშტეინს.

არ მიეკუთვნება დუბლინის სისტემის ქვეყანას და ორგანიზაციას.

2015 წლის 20 ივლისიდან თქვენი თითის ანაბეჭდები შესაძლოა მოიძიოს ისეთმა ინსტიტუციამ, როგორც არის პოლიცია და ევროპის პოლიციის ბიურო (ევროპოლი), რომელიც შეძლებს მოითხოვოს მიდგომა ევროდაკის მონაცემთა ბაზასთან, რათა დაადგინოს და აღუკვეთოს გზა მძიმე დანაშაულსა და ტერორიზმს.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროდაკის მონაცემების  
მაკონტროლებლის მისამართი:

შინაგან საქმეთა  
სამინისტროსთან არსებული  
მიგრაციის დეპარტამენტი  
ლ. საპიეგოს ქ. N 1,  
10312 ვილნიუსი  
ტელ. +370 5 271 7112  
ელ.ფოსტა: md.rastine@vrm.lt  
<http://www.migracija.lt>

ნაციონალური  
ზედამხედველობის  
ინსტიტუციის (მონაცემთა დაცვა)  
მისამართი:

მონაცემთა დაცვის  
სახელმწიფო ინსპექცია  
ა. იუოზაპავიჩიაუსის ქ. N 6,  
09310 ვილნიუსი  
ტელ. +370 5 271 2804,  
+370 5 279 1445  
ელ.ფოსტა: ada@ada.lt  
<http://www.ada.lt>

©European Union 2014

Reproduction is authorised. For any use or reproduction of individual photos, permission must be sought directly from the copyright holders.

